დანართი

პროექტის „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერების მიმართილებით“ საკონკურსო კომისიის დებულება და კონკურსის (შემდგომში კონკურსი) ჩატარების წესი

წინამდებარე დებულებით განისაზღვრება პროექტის – „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერების მიმართულებით“ საკონკურსო კომისიის (შემდგომში კომისია) მუშაობისა და კონკურსის ჩატარების წესი.

მუხლის 1. კომისიის სხდომის უფლებამოსილება.

1. კომისიის სხდომებს იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-სა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 2. კონკურსის ჩატარების ეტაპები

1. კონკურსი ჩატარდება შემდეგ ეტაპებად:
   ა) ბიზნეს იდეის შეფასება;
   ბ) ბიზნეს გეგმის შეფასება;
   გ) გასაუბრება;
   დ) ადგილზე ვიზიტი;
   ე) გამარჯვებულის გამოვლენა;
   ვ) ხელშეკრულების გაფორმება;
   ზ)ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი.

2. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება მიღებული ქულათა ჯამით.

3. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ კომისია წინადადებას წარუდგენს შუახევის მუნიციპალიტეტის მერს.

4. ქალთა საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში, წევრთა თანხმობა ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის დასანიშნად ჯგუფის წევრების დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად ან ხელმოწერილი კომისიის მდივნის თანდასწრებით.

მუხლი 3. წარმოდგენილი პროექტის კრიტერიუმები

„სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომუკურად გაძლიერების მიმართულებით“ წარმოდგენილი პროექტის შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს:

ა) იდეის აღწერას;

ბ) პროექტის მიზანსა და ამოცანებს;

გ) პროექტის მოსალოდნელ შედეგებს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალებს, (ქალთა ჯგუფებს) რომელთა მუდმივი საცხოვრებელი გააჩნიათ შუახევის მუნიციპალიტეტში ან/და აქვთ მაღალმთიან რეგიონში მცხოვრების სტატუსი.
   სტუდენტის შემთხვევაში პროგრამით მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ის ფიზიკური პირი ვისაც მინიჭებული ჰქონდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ბრძანებით, ან/და სხვა მუნიციპალიტეტის მიერ, ადმინისტრაციული წარმოების მასალები კი გამოთხოვილია შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ და ამჟამად სტატუსი შეჩერებული აქვს უმაღლეს სასწავლებებელში სწავლის გამო, ქალთა საინიციატივო ჯგუფის მონაწილეობის შემთხვევაში სტატუსის ფლობა აუცილებელია პასუხისმგებელი პირისთვის.
2. საპროექტო განაცხადი რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ამ მუხლის 1 პუნქტში განსაზღვრულ მოთხოვნებს განაცხადი განუხილველი დარჩება.

მუხლი 5. დაფინანსება

საკონკურსო პროექტებისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 (ხუთი ათას) ლარს თითოეულ პროექტზე, 15 % თანამონაწილეობით. პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მაქსიმუმ 6 თვე.

მუხლი 6. შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები

1. შერჩევის ობიექტური და არადისკრიმინაციული პროცესის უზრუნველსაყოფად, საპროექტო წინადადებებს განიხილავს მერის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი კომისია .

2. განხილვის პროცესში, შესაძლოა, კომისიამ განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა მოსთხოვოს, სამი სამუშაო დღის ვადაში.

3. საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად, კომისია შემდეგი კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს:

ა) კონკურსის მიზნებთან, ამოცანებთან და პირობებთან შესაბამისობა;

ბ) პროექტის დამაჯერებელი და ფაქტებით გამყარებული დასაბუთება;

გ) პროექტის შედეგზე ორიენტირებული და შესრულებადი სამოქმედო გეგმის არსებობა;

დ) მოსალოდნელი შედეგების მასშტაბი;

ე) გენდერული ანალიზი, პროექტის აქტივობებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობის და პროექტის შედეგებზე მათი წვდომის დასასაბუთებლად;

ვ) ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა;

ზ) პროექტის შედეგების მდგრადობა.

4. დაინტერესებულ პირებს მხოლოდ ერთი პროექტის შემოტანის უფლება აქვს კონკურსის ფარგლებში. მერია უფლებას იტოვებს, არ შეარჩიოს არც ერთი განაცხადი, იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ არ დააკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს.

მუხლი 7. განაცხადის წარდგენის პროცედურა

1. პროექტის განაცხადი (ხელმოწერით დამოწმებული);

2. დეტალური და პუნქტების მიხედვით გაწერილი ბიუჯეტი;

3. კონკურსში წარმოდგენილი პროექტები მხოლოდ განმცხადებელი პირის ნამუშევარს უნდა ასახავდეს. პლაგიატს შედეგად კონკურსიდან პროექტის დაუყოვნებლივი დისკვალიფიკაცია მოჰყვება.

4. მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას, გადაულახავი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მისგან დამოუკიდებელი, გარემოების არსებობისას, უარი თქვას პროექტის დაფინანსებაზე.

5. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა მასალა და დოკუმენტი შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულებაში რჩება. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას მერია მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.